

ხარისხის მართვის სამსახურის ანალიტიკური განყოფილების ანგარიში

- 2012 წლის მაისში ხარისხის მართვის სამსახურის ანალიტიკურმა განყოფილებამ ჩაატარა პირველკურსელ სტუდენტთა გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო პირველკურსელ სტუდენტთა სასწავლო გარემოთი კმაყოფილების კვლევა. უნივერსიტეტის მასშტაბით გამოიკითხა 712 პირველკურსელი სტუდენტი.
- 2012 წლის ივნისში ხარისხის მართვის სამსახურის ანალიტიკურმა განყოფილებამ ჩაატარა უნივერსიტეტის პირველი საფეხურის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო მიღებული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხით კმაყოფილების კვლევა. უნივერსიტეტის მასშტაბით გამოიკითხა 617 პირველკურსელი სტუდენტი.
- 2012 წლის სექტემბერში ხარისხის მართვის სამსახურის ანალიტიკურმა განყოფილებამ გააანალიზა 2011-2012 წლის საგაზაფხულო სემესტრის სტუდენტების აკადემიური მოსწრება. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა რამდენად ახლოა გამოცდების შედეგები გაუსის სტანდარტულ განაწილებასთან; პრობლემების კლასიფიკაცია; შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.
- 2012 წლის ოქტომბერში ხარისხის მართვის სამსახურის ანალიტიკურმა განყოფილებამ შეისწავლა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გენდერული და ასაკობრივი სტრუქტურა.
- 2012 წლის ნოემბერში ხარისხის მართვის სამსახურის ანალიტიკურმა განყოფილებამ ჩაატარა პირველკურსელ სტუდენტთა გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო პირველკურსელ სტუდენტთა უნივერსიტეტისა და სპეციალობის შესახებ პირველი შთაბეჭდილების შეფასება; ფაკულტეტებზე პირველკურსელ სტუდენტთა ინფორმირებულობის დონე; სტუდენტთა შენიშვნების შესწავლა სასწავლო პროცესის, ლექტორ-მასწავლებლებისა და

ზოგადად საუნივერსიტეტო გარემოსთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის მასშტაბით გამოიკითხა 822 პირველკურსელი სტუდენტი.

- 2012 წლის დეკემბერში ხარისხის მართვის სამსახურის ანალიტიკურმა განყოფილებამ ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო გაერკვიათ, რამდენად შეესაბამება წაკითხული ლექციების ხარისხი თანამედროვე მოთხოვნებს. უნივერსიტეტის მასშტაბით გამოიკითხა მეორე, მესამე და მეოთხე კურსის 2846 სტუდენტი.
- 2013 წლის ივნის-ივლისში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკურმა განყოფილებამ ჩაატარა სტუდენტთა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო წაკითხული ლექციების ხარისხის თანამედროვე მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დადგენა. უნივერსიტეტის მასშტაბით გამოიკითხა მეორე, მესამე და მეოთხე კურსის 2535 სტუდენტი, რომლებმაც შეაფასეს 2012-2013 სასწავლო წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრის პედაგოგები. 2013 წლის სექტემბერ-ნოემბერში ხორციელდებოდა შედეგების დამუშავება და ანალიზი.
- 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში ანალიტიკური განყოფილება კონსულტაციას უწევდა, ეხმარებოდა კითხვარების შემუშავებაში და ანკეტირების შედეგების დამუშავებაში პროგრამების ხელმძღვანელებს ახლადშემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნის დადგენის მიზნით (საბაკალავრო პროგრამები „მუსიკის მასწავლებელი“, „კვების ინდუსტრიის ინჟინერია და საწარმოო პროცესების მართვა“.